იმერეთი

ფასი:
წლიურათ . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 74
წელიწადი მეორე
1913
შაბათი 8 ივნისი

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ".

ყოველდღიური გაზეთი

ტელეფონი № 149.

ელექტრულობისა და ჭურჭლეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში.

ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე.

გახსნა სპეციალური განყოფილება ელექტრონის მოსაწყობი მასალების და არმატურებისა, რაც ყოველთვის უმაღლესი ხარისხის მოგვეპოვება ცნობილი ფირმებისაგან. აგრეთვე ვკისრულობ სახლის ავეჯით და ელექტრონის გასანათებელი მავთულების მოწყობას; ყოველთვის მოგვეპოვება მსურველთათვის სპეციალისტი მონტიორები. ჩვენი მასალების ხარისხის სიკეთეს ჩვენ ვკისრულობთ. ფასები ეოველი კონკურენციის გარეშე.

პატივის ცემით ფ. ს. ფილიპოვი.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913

იმერეთი

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . . 7 მანეთი.
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . . 4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ. редакція газеты „ИМЕРЕТИ" Василію М. Чепидзе.

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

ქუთაისი.

პაიებზე დამყარებული ამხანაგობა

კირაკოზოვი & ბ. გ. ოგანოვი.

გაზაფხულისა.

და ზაფხულის სეზონი

ტრიკო, კასტორი, დიოგონალი, ჩესუნჩა, რაგოჟი, ტილო, პარუსინა, ბატისტა, კისეია, შემიზი, ჩითი.

პოპლინი, მესალინი, ქივრონი, ლიბერტი, ლევანტინი, სტოლსაფრები, „პოკრივალო", პირსახოცი, ხელსახოცები, მადაპალამი, ლანკორტი.

ახალი გამოგონება მეცნიერებაში

ერთადერთი სახმარებელი ვენახის აქიმობისათვის და მცენარეთა დასაცავათ სოკოების ავათმყოფობისაგან და მწერთაგან

ახალი სითხე უაკმენის UU

უმთავრესი წარმომადგენელი მთელი რუსეთისათვის **კანტორა კლოჟლურულა ქუთაისში** საწყობი და ნარდი გაყიდვა **ი. გოკიელოვის შვილების სავაჭრო სახლში ქუთაისში.**

მარიამ კაკოიშვილის ასული კროჭისა, შვილები ამის: იოსებ და ანა; მაზლები: პლატონ და სამსონ იოსების ძენი კროჭები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დაუვიწყარი

ბარნაბა იოსების ძის კროჭის

გადაცვალებას. დაკრძალვა მიცვალებულისა დანიშნულია კვირას, 9 ივნისს, ნაშვადღევს 5 საათზე. (სოფ. ღვანკითი, საკუთარი სახლი).

პელაგია სიმონის ასული ავალიანისა და შვილები ამისი: ალექსანდრე, კოსტანტინე, გიორგი, მარიამ კანდელაკისა, ნინო, სოფიო და თამარი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი—საყვარელი შვილისა, დანარჩენები—ძმისა, სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოწაფის,

ნიკოლოზ (კოლია) მინას ძე ავალიანის

გადაცვალებიდან წლის წირვისა და პანაშვიდის გადახდას არქიელის გორაზე წმინდა-გიორგის ეკლესიაში, კვირას, 9 ივნისს, დილის 10 ს.

ფარნა ბეჟანის ძე გაბუნია

ქუთაისი

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ მე საპარტიო საწყობი ფართლეულობისა და რეზინის კალოშებისა

გადავიტანე

საკუთარ სახლში, ვორონცოვის ქუჩაზე, წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის პირდაპირ.

მიღებულია დიდძალი საქონელი, იყიდება პარტიით და წვრილათ.

პატივისცემით: **ფარნა ბ. გაბუნია.**

ექიმი ა. მ. ასათიანი

ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგან ქალთა სნეულებს და ბავშებს**) ახალ ბინაზე. ქორვასლის ქ. კლასიკური გიმნაზიის პირდაპირ. რადიუმის გვერდით ჩილინგაროვის სახლი.

ექიმი ი. ჩარექოვი

ხუთ ივნისიდან მიიღებს **კანის და ვენერიული ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ... ოვის სახლში.

ექიმი ვ. ი. ფეშინი ქირურგიული და საშარდე სნეულება

ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი.

გოშპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი.

ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი, ვენერიული, კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

განცხადება

მუსიკალური მაღაზია **„ოქროს ლირა"** ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ, რომელიც იყო გამოცხადებული „კოლხიდი"-ს 42-ე №-ში, განმეორებით ვაცხადებ, ვინაიდან მუსიკალური მაღაზია „ოქროს ლირა" ჩერნიკოვისა იხურება, ამიტომ, ვისაც ხსენებულ მაღაზიაში მოუბარებია შესაკეთებლათ გიტარები, მანდალინები, სკრიპკები, გრამოფონები და სხვა და სხვა მუსიკალური ინსტრუმენტი და დღემდი არ წაუღიათ, **უკანასკნელათ ვსთხოვ**, წაიღონ მდგომარე წლის 9 ივნისამდი. წინააღმდეგ შემთხვევაში, იარაღი გაიყიდება და აღებული ფული მოხმარდება მაღაზიას იარაღის შეკეთების საფასურში. აქვე იყიდება, გარდა ახალი პიანინოისა, ხელსაყრელ ფასში სხვადასხვა ინსტრუმენტი და აგრეთვე შკაფი.

დღიური.

— ბულგარეთის ახალ კაბინეტში დიდი ადგილი დაეთმობათ ხალხოსნურ მიმართულების პირთ და პროგრესისტებს.

— ავსტრიისა და იტალიის კონსულებმა დურაციოში ესად-ფაშას სთხოვეს, ავსტრიისა და ალბანეთის პროტექტორატი ალბანეთზე აღადგინეო.

— სერბია, მთაშავეთი და საბერძნეთი თანახმა არიან პეტერბურგის კონფერენციაში მონაწილეობა მიიღონ იმ შემთხვევაში, თუ ამ კონფერენციაში ბულგარეთიც მიიღებს მონაწილეობასო.

— სალარ-უდ-დოულე დასჭრეს და ახლა კავკასიაში წამოსვლას აპირებს.

— მოკავშირე სახელმწიფოებს საქმის მშვიდობიანათ დაბოლოების იმედი არა აქვთ.

— ბოდაიბოდან ცნობაა,—ხუთი ათასი მუშა სამუშაოთ მოსული მშიერია. ქალები და ბავშები მათხოვრობენო.

— მოსკოვის ფართლეულობის ქარხანა, რომლის ღირებულებაც 27 მილიონ მანეთს უდრის და სადაც 9 ათასი მუშაა, ინგლისელი კამპანიის ხელში გადავიდა.

სახელმწიფო სათათბირო

5 **ივნისის სხდომა.**

ვოლკონსკი თავჯდომარეობს. გასარჩევ საქმეთა შორის, არის საკანონმდებლო წინადადება საეროზო კრებულებისა და კავშირების შესახებ. სახალხო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის მუხლობრივ განხილვას განაგრძობენ. სასოფლო შკოლების მასწავლებელთა ჯამაგირის გადიდებისა და დაწყებითი განათლების გავრცელების შესახებ. კამათში მონაწილეობას შვიდი დეპუტატი ღებულობს. ხარჯთაღრიცხვის მუხლს და მილიუტინის სურვილს, რომ სამინისტრომ შეიმუშაოს პროფესიონალური განათლების შესახებ პროექტი, ღებულობენ. მიიღეს ლელიუხინის წინადადებაც დაწყებითი შკოლის ტიპის გაუმჯობესების შესახებ. ციმბირის დეპუტატთა ჯგუფის სურვილი, რომ ციმბირში საყოველთაო სწავლების შემოღების შესახებ მთავრობამ პროექტი შეიმუშაოს და მიიღოს ზომები განათლების საქმის გასაუმჯობესებლათ, მოიწონეს. იხილვენ ხარჯთაღრიცხვის იმ მუხლს, სადაც ლაპარაკია პროფესორთა მოსამზადებელი ხარჯის შესახებ. განათლების მინისტრის ამხანაგი **ტაუბე** ეხება ყველა იმ სიტყვას, რომელიც განათლების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის შესახებ მემარცხენეთა და მემარჯვენეთა მხრით წარმოითქვა. ორატორი სათათბიროს ყურადღებას აპყრობს ახალგაზდა პირთა პროფესორათ მომზადების საკითხს. ამ მიზნით საპროფესორო პირები საზღვარგარეთ იგზავნებაო. მათი გასაგზავნი ხარჯი საბიუჯეტო კომისიამ 25 ათასი მანეთით შეამცირაო. თვით სათათბირომაც გამოსთქვა სურვილი უნივერსიტეტებისა და პროფესორების გამრავლებისაო. პროფესორთა რიცხვის შემცირებაში დამნაშავეთ სამინისტრო არ მიაჩნია. ტაუბე პროტესტს აცხადებს იმ ხმების გამო, ვითომც სამინისტრო საზღვარგარეთის სემინარიებში პროფესორებს ამზადებდეს, და მათი კარიერა აქიდანვე უზრუნველყოფილი იყოსო. იმედს გამოსთქვამს, რომ სათათბირო საბიუჯეტო კომისიის მიერ უარყოფილ კრედიტს აღადგენსო. **მილიუკოვი:** მაშინ როდესაც პროფესორთა კათედრის სიცარიელეზე ლაპარაკობენ 30—40 მაგისტრი, დოქტორი უადგილოთაა. სამწუხაროთ, ძნელია იმაზე ფიქრი, რომ ოცდამეათე, მეორმოცე წლების მაგალითი განმეორდება. ორატორი საზღვარგარეთ საპროფესორო პირთა გაგზავნის საქმის უარყოფით მხარეებს ეხება. საზღვარგარეთ გასაგზავნ პირთა უმრავლესობამ იმ ქვეყნის ენაც კი არ იცის, სადაც ის იგზავნებაო. ეხება ბარონ ტაუბეს სიტყვასაც და, სხვათა შორის, ამბობს: შეიძლება ითქვას, რომ სახალხო განათლების სამინისტროს უმაღლესათ განვითარებული პირები უდგიან სათავეში, მაგრამ არა რუსულ კულტურაზე განვითარებული, რუსეთში განათლება მიღებულიო. მილიუკოვს შემდეგ ბარონ ტაუბე ლაპარაკობს.

გელოვანი: უკმაყოფილებას აცხადებს ცენტრალური უწყების ორჭოფულ მოქმედების გამო. სამინისტროო, აცხადებს ორატორი, პასუხისმგებელი არ არის კავკასიის შკოლებში არეულობისა, ვინაიდან ეს კავკასიის მეფის მოადგილის საქმეაო. მეორე მხრით, როდესაც მეფის მოადგილე საზოგადოებრივ აზრს ანგარიშს უწევს, ამ აზრის წინააღმდეგ შეამდგომლობს ცენტრალურ უწყებასთანო. **პურიშკევიჩ** ბარონ ტაუბეს მოსაზრება

საყურადღებოთ მიაჩნია. მილიუკოვის გამოსვლა, შედეგია შურიანობისა და გაბოროტებისაო, მისი ველური და ულაზათო შრომანი... თავჯდომარე ორატორს სთხოვს, აზრის გამოთქმის დროს სიფრთხილე დაიცვას. **პურიშკევიჩი** განაგრძობს: მილიუკოვმა და სათათბიროს წევრთა 3/4 არ იცის, თუ ტაუბეს სხეულში რა სისხლი სჩქეფს. შემდეგ ორატორი ამტკიცებს საზღვარგარეთ ახალგაზდა პირთა გაგზავნის სარგებლობას. **მოტოვილოვი** მწუხარებით აღნიშნავს, რომ საზღვარგარეთ პროფესორთა მოსამზადებლათ ახალგაზდა პირთა გაგზავნა ეკატერინეს მეფობის დროინდელი წესების განმეორებაათ. მომხსენებელი **კოვალენსკი** აცხადებს: ვინაიდან ამ საკითხის შესახებ არავითარი კენჭის ყრა არ შეიძლება, საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ტაუბეს გამოსვლა მცირეთაც კი არ არღვევს საბიუჯეტო კომისიის მოსაზრებათ. ხარჯთაღრიცხვის ყველა მუხლებს კომისიის რედაქციით ღებულობენ. მიიღეს **ვარონკოვის** წინადადებაც, რომ მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვაში შეიტანონ მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოებისა და ამ საზოგადოების შენობის ასაშენებელი ხარჯები მიიღეს. საბიუჯეტო კომი'აიის ფორმულაც იმის შესახებ, რომ სათათბიროში შეიტანონ განსახილველათ საშვალო შკოლებისა უნივერსიტეტებისა და სხვათა შესახებ კანონპროექტი. ნაციონალისტების ფორმულა, რომ შკოლაში უფრო მეტათ რუსული სული გაამეფონ მოიწონეს. მოიწონეს ოკტომბრისტების ფორმულა ბავშთა ფიზიკური აღზდისა და განათლების საქმეში ძირითადი რეფორმების მოხდენის შესახებ. სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვაზე მსჯელობა დასრულდა.

5 ივნისის საღამოს სხდომა.

საღამოს სხდომას **ვოლკონსკი** თავჯდომარეობის. სახელმწიფო საბჭოსაგან დაბრუნებულ კანონპროექტს პელონეთში საქალაქო თვითმართველობის შეცვლის შესახებ იხილვენ. მომხსენებელი **ბენიგსენი** მოუთხრობს სათათბიროს პროექტის ისტორიას. კანონპროექტის დაჩქარებითი განხილვა აღიარეს. **სვეჟინსკის** აზრით საქალაქო საქმეებში კრიზისის გამო პოლონელები იძულებული არიან ისეთი რეფორმაც კი მიიღონ, როგორიც მათ არ აკმაყოფილებს, მაგრამ იმ რეფორმას კი არ მიიღებენ, რომელიც პოლონელ ხალხის თავმოყვარეობას ლახავს და ერს შეურაცხყოფას აყენებს. ასეთ შეურაცხყოფათ მიაჩნია მას საბჭოს მოთხოვნა თვითმართველობიდან პოლონური ენის სრულად განდევნა. თავჯდომარის ადგილს **ლვოვი** იჭერს.

შჩეპკინი წინააღმდეგია კანონპროექტის ამ სახით დამტკიცებისა. ის სათათბიროს წევრებს ეუბნება: თქვენ გამოგზავნეს აქ საკანონმდებლოთ და არა სალაქიოთ. (ხმაურობა და პროტესტი მემარჯვენეებში. ყვირიან —გავაძეოთო) თავჯდომარე სთხოვს შჩეპკინს, ტრიბუნიდან ჩამოვიდეს. სტენოგრამას გაეცნობა და წინადადებას იძლევა შჩეპკინის ხუთი სხდომიდან გაძევების შესახებ. თავჯდომარე ამ მიზნით კენჭის ყრას ახდენს. (მარცხნით ხმაურობა და პროტესტის ხმა გაისმის) შჩეპკინს დიდი ხმის უმეტესობით 5 სხდომიდან აძევებენ. **ფრიდმანი** ამბობს: კანონპროექტის მუხლობრივ განხილვის წინააღმდეგი ვარ, რადგანაც ამ კანონპროექტის ძალით ებრაელი მცხოვრები პოლონელთა უმცირესობას უნდა დაემონოსო. **მასლენიკოვი** პროგრესისტთა მინდობილობით აცხადებს კანონპროექტის მუხლობრივ განხილვას არ თანავუგრძნობთ და თუ საკითხი ჩვენი სურვილის წინააღმდეგ გადაწყდა, მაშინ პროექტში საჭირო შესწორებას შევიტანთო. ორატორს კოლოს მოქმედება აკვირვებს. რატომ უნდათ იმ პროექტის დაჩქარებით განხილვა, რომელიც სამართლიანობის ელემენტალურ უფლებას არღვევსო. **იაგელო** აცხადებს—ესდეკები კანონპროექტის წინააღმდეგი არიანო. თავჯდომარის ადგილს **როძიანკო** იჭერს. **ალექსეევი** აცხადებს—ნაციონალისტები კანონპროექტის განხილვის მომხრე არიანო. **როდიჩევი** პროტესტს აცხადებს და არ არის მომხრე, რომ კანონპროექტი მუხლობრივ განიხილონ. **კერენსკი**, ტრუდოვიკების სახელით კანონპროექტის წინააღმდეგ მიდის. პროტესტს აცხადებს ამ კანონპროექტის შესახებ კამათის მოსპობის გამო. ეხება პოლონეთის წარმომადგენელთა მოქმედებას და მათ მოღალატეს უწოდებს. თავჯდომარე კერენსკის სიტყვასართმევს. **გარუსევიჩი**: პოლონელების კამათის მოსპობის წინააღმდეგი იყვნენ. პოლონელები იძულებული გახდენ ეს დამახინჯებული პროექტიც კი მიეღოთ. მათ ესმისთ რასაც კარგავენ პოლონურ ენის გაძევებით, მაგრამ, იმედი აქვთ, სათათბირო მომავალში მაინც პოლონეთის ხალხს ღირსეულ კანონპროექტს მიუძღვნის. კანონპროექტის მუხლობრივ განხილვას 189 ხმით წინააღმდეგ 56-ისა ღებულობენ.

მემარჯვენეთა გალიუცინაცია

— —

როდესაც ამ ერთი წლის წინათ უნგრეთის პარლამენტი მის თავჯდომარეს გრაფ ტისას მკაცრ მრჯალებში ჰყავდა გამომწყვდეული და ოპოზიციის პროტესტანტ დეპუტატებს ხიშტებითა და მათრახებით უმასპინძლდებოდა, როდესაც უნგრეთის სამინისტროს თავჯდომარე ლუკაჩი ტისას შემწეობითა და მეოხებით საკუთარ პოლიტიკას საკუთარი სურვილის მიხედვით ავეირგვინებდა; როცა უნგრეთის პარლამენტის მემარცხენე ოპოზიცია უნგრეთის ხალხის დემოკრატიულ ნაწილთან ერთად მთელი თავისი ძალღონით პროტესტს აცხადებდა არსებული ძალმომრეობის წინააღმდეგ, მაგრამ გრაფი ტისა და ბ-ნი ლუკაჩი-კი მაინც არა სცხრებოდენ, და როცა მთავრობის ხსენებულმა წარმომადგენლებმა ამგვარი საშვალებით ახალი საარჩევნო წესები გაიყვანეს, რაც დაპირებულს წინმსვლელობას ფრთას აკვეცდა და ტლანქათ აქარწყლებდა, აი, ამ დროს უნგრეთის პარლამენტში ყოფილმა მინისტრის ამხანაგმა დეზიმ ლუკაჩს „უდიდესი პანამისტი“ უწოდა, რაც გასაგებ ენაზე გამფლანგველს ნიშნავს. „მე ბრალს ვსდებ მინისტრ-პრემიერ ლუკაჩს, სთქვა დეზიმ, რომ მან უკანონო გზით ხაზინის ინტერესთა საზარალოთ, კერძო ბანკი აიძულა უკანასკნელი არჩევნების წინ მთავრობის პარტიის ფონდის სასარგებლოთ $4\frac{1}{2}$ მილიონი გადაედვა“... დეპუტატის მიერ მთავრობის უმაღლესი წარმომადგენლისადმი მიმართულს ასეთ სიტყვებს, ასეთ ბრალდებას, უპასუხოთ, ანგარიშ გაუწევლათ ვერ დასტოვებდა ხსენებული წარმომადგენელი, მით უმეტეს მაშინ, როცა ხსენებულმა სიტყვებმა ფართო მასაში დიდი მითქმა-მოთქმა, ჩიჩქოლი და საყვედური გამოიწვია მთავრობის მიმართ. და მართლაც ლუკაჩმა პასუხისგებაში მისცა დეზი, მაგრამ სასამართლომ დეზის სიტყვები კინიერათ სცნო, და იგი პასუხისგებისგან გაათავისუფლა და არათუ ლუკაჩი, კაბინეტს მთელი შემადგენლობა იძულებული შეიქნა სამსახურიდან გადამდგარიყო. ასეთი შედეგი მოყვა ოპოზიციის, მთავრობასთან ბრძოლას, იმ ოპოზიციის, რომელმაც ფონ ლუკაჩისა და გრაფი ტისას მომაკვდინებელი შედეგები იწვნია და რომელსაც სისხლს უწამლავდა კაბინეტის მეთაურის აშკარა, ცხადი უკანონო მოქმედება.

რამ გამოიწვია მემარჯვენე დეპუტატის ასეთი თავხედი, ტლანქი და ზდილობას მოკლებული გალოშქრება პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ? გასაგებია კიდევ, რომ უნგრეთის პარლამენტის მემარცხენე ოპოზიციას ბევრი რამ ქონდა გასასწორებელი ბ-ნ ლუკაჩთან, მაგრამ, საკვირველია, რათ მოხთა, რომ უკიდურესი მემარჯვენე ფრაქციები, ეს თანამედროვე წყობილების დედა ბურჯნი და მესვეურნი მთავრობის დღევანდელ თვალსაჩინო წარმომადგენელს ოპოზიციაში ჩაუდგენ.

და იმასაც კი არ ერიდებიან, რო მარკოვ მეორეს პირით კოკოვცევს უყვირონ:—ქურდობა არ შეიძლებაო!... მემარჯვენეთა ასეთი უსაზღვრო და ანგარიშ მიუცემელი აღელვება-გაბრაზების მიზეზი უმთავრესათ კოკოვცევის გარეგნული ზდილობითაა გამოწვეული, რომლითაც იგი გაუმასპინძლდა სათათბიროს ოპოზიციას სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს. ახლანდელი ასეთი უკიდურესი გაბრაზება მემარჯვენეთა მხრით სწორეთ ამით აიხსნება, სხვა დროსაც, აქამდისაც, არ გრძნობდენ პურიშკევიჩ-მარკოვები კაბინეტის ახლანდელი თავჯდომარისადმი უდიდეს სიმპატიას, აქამდინაც ალმაცერათ უყურებდენ მას ეს უკანასკნელნი ტ „ნოვოე-ვრემიას“ თქმისა არ იყოს მემარჯვენეებს ბ-ნი კოკოვცევი სხვათ, უცხოთ, არათავისიანათ მიაჩნიათ. ჯერ სტოლიპინის სიცოცხლეშიც მემარჯვენენი კბილებს აღრჭენდენ კოკოვცევზე, რომელმაც გადაჭრით, პირდაპირ, კატეგორიულათ განაცხადა, რომ ებრაელთა დარბევა არ შეიძლება, დამნაშავენი დაისჯებიანო.

როდესაც მემარჯვენეთა ასეთ ამხედრებას ხედავ მთავრობის ასეთი თვალსაჩინო წამომადგენლის წინააღმდეგ, რაღაც სასიამოვნო ფიქრი გაგივლის თავში. გგონია, საქმე ცოტათ თუ ბევრათ სასურველი გზით მიდიოდეს, რადგან თუ მოწინააღმდეგე მხარე ამხედრებულია მთავრობის წარმომადგენლის წინააღმდეგ იმიტომ, რომ იგი შენ მეტ პატივს გცემს და შენს სიამოვნებას ცთილობს, ცხადია, იგი იმ გზით არ მიდის, რასაც თანამედროვე, არსებული ჭეშმარიტება გვეუბნება. მაგრამ საკმარისია საქმეს საფუძვლიანათ ჩაუკვირდე, დროთა ხლართის საიდუმლოს ჩასწვდე, გამეფებულ ბურუსში შეიჭვრიტო, რომ კვლავ სინამდვილე წარმოგიდგეს თვალწინ, სინამდვილე [illegible] კვდინებელი და მოსპ[illegible]დებელი. მემა[illegible]ნეთა ამხედრება უნიადაგოა, [illegible] არ ჩადის, [illegible] მიდის, და განსაზღვრულ მიზანს [illegible]რება. არავის არ სურს არ არსებ[illegible] შექმნას; და მემარჯვენეთა ახლან[illegible] მოქმედება ყალბი გალიუცინაციის [illegible]გია. იდეა ერთია. კვლავ ნაცნობ სის[illegible] უკმეევენ გუნდრუკს და თუ გულით [illegible] მარიტ რუსს „ჭეშმარიტ რუსთა [illegible]რის“ იარლიკი არ აკრავს, ამითი [illegible]ბითად არა იცვლება-რა.

იმერ[illegible]

ახალი ამბავ[illegible]

— —

✦ ქუთაისის გუბერნატორი [illegible] გაემგზავრა მრეწველებსა და მუშებს [illegible]რის უთანხმოების გამოსარკვევათ.

ქუთაისის სადგილ-მამულო [illegible] გამგეობის თავმჯდომარეთ ისევ თავ[illegible] ფალავა აირჩიეს; მოუვიდა 143 თეთრ[illegible] 20 შავი კანჭი.

დირექტორათ აირჩიეს გ. ლასხიშ[illegible] მიიღო 132 თეთ. და 37 შავი [illegible] დირექტორის კანდიდატათ ს. [illegible] 134 თ. და 34 შავი.

ზედამხედველ კომიტეტის წევრ[illegible] ისევ ძველები დარჩენ. რიგით სამსახ[illegible]ვადა უთავდებოდა ორ წევრს. თა[illegible] დ. წერეთელმა მიიღო 106 თ. და 4[illegible] ვ. ჭილაძემ—100 თ. და 51 შ.

მოსამსახურეთა შტატების შემმუ[illegible]ბელ კომისიაში არჩეულ იქმნენ: სიმ. ლორთქიფანიძე, თ. დ. ა. ლორ[illegible]ფანიძე, ს. ბახტაძე, იას. ბაქრაძე[illegible] დათეშიძე, ი. პურადიშვილი, ვ. ჩანი[illegible] პ. გოკიელი, ტ. ახვლედიანი და ბ. [illegible]შვილი.

— ამ კომისიამ ზედამხედველ კომი[illegible]სა და გამგეობასთან ერთად უნდა მუშაონ მოსამსახურეთა შტატები წარუდგინონ დასამტკიცებლათ ამ [illegible] დეკემბერში საგანგებო კრებას.

✦ მგოსანი აკაკი ცოლ-შვილით ზაფხულს საჩხერეში იცხოვრებს.

✦ მესამე დღეა ადგილობრივი თფი[illegible]სის გაზეთები გამოსვლის დღის [illegible] ნაცვლათ, როგორც აქამდი მოდი[illegible] ქუთაისში, საღამოს მოდის, მიზეზი [illegible] გაურკვევიათ.

დედა.

მოთხრობა სიმ. —ვოლჟსკისა.

(თარგმანი).

ჩუმათ და მშვიდათ განუტევა სული პეტრემ.

გემის სტვენისგან გამოღვიძებული მარია ივანოვნა წამოხტა პატარა ტახტიდან, რომელზეც ისე უხერხულათ იწვა. ნამძინარევი თვალებით სიბნელეში მიაკვლია და წყნარათ მივიდა მეორე ტახტთან, სადაც პეტრე იწვა.

— პეტია!—წყნარათ დაუძახა შვილს— გძინავს?

დუმილია. პეტრეს ყოველთვის უსიამოთ ეძინა, შფოთავდა, კვნესოდა. ახლა დადუმებულა და უძრავათაა.

— პეტია!—უფრო მაღლა დაუძახა დედამ. პასუხი არაა. შეშინებულმა დედამ ხელით მძინარე შვილის ხელი ასწია.

პეტრეს ხელი არაჩვეულებრივათ მოყვა ხელში. გაოცებულმა მშობელმა უცებ გაუშვა ხელი და დაემხო შვილის გვამს... პეტია მუდამ ისეთი ფხიზელი არ შეკრთა.

— პეტია!—ისეთი განწირულებით დაიყვირა დედამ, რომ თვითონ შეაშინა ამ ხმამ სიჩუმესა და სიბნელეში.

საშინელი იყო შვილთან ახლოს ყოფნა, სიბნელე, მისი შეხება, გაგება იმის, — ცოცხალია თუ მკვდარი. სიბნელე აშინებდა კიდეც და იმედსაც გვრიდა. მაგრამ ასეთ ყოფას ველარ გაუძლო, მივარდა ელექტრონის გასაღებს და საჩქაროთ გადაატრიალა. ოთახი გაჩადდა და ახლა კი ცხადი შეიქნა, რისაც ისე ეშინოდა საბრალო დედას.

გაშოტილი, ხელებ გადაყრილი იწვა პეტია. ალბათ უკანასკნელი შფოთვა-გრეხის დროს გაიშოტა და ისე დადუმდა... სახე გამხდარი, გაყვითლებული, პატარა შავი წვერი უცნაური სანახავი, თითქოს დაკრული ქონდა ლავიწებზე.

— პეტია!—უკანასკნელათ დაუყვირა დედამ და შეაძრია, თითქოს იმედი ქონდა კიდევ გაღვიძებისა.

დარწმუნდა, რომ ამაოა ყოველივე ცდა... მოხთა ის საშინელი, ის გადაუვალი, რას შემდეგაც აღარ გადის არც სიტყვა, არც შეხება, აღარც არას საჭიროებს დედა მისისაგან.

პირველათ უკვირდა, რომ აგრე მშვიდობიანათ შეხვდა პეტიას სიკვდილს. როგორ ეშინოდა, წარმოდგენილი ქონდა, რომ ვერ გადაიტანდა ამ მოვლენას: იყვირებდა, სასოწარკვეთილი თმას გაიგლეჯდა, ლოყებს დაიკაწრავდა, თავს კედელს მიახლიდა... მაგრამ, აგერ მოუკვდა, და მის წინ გარინდული დგას უსიტყოთ, უცრემლოთ, თითქოს არასა გრძნობს, თითქოს არაფერი მომხთარიყოს. მხოლოდ, როცა მწვავე წუთებმა გაიარა, საშინლათ დააზრიალა ტანში, მოწყვეტილათ დაეხეთქა შვილის გვამს და იგრძნო, რომ აღარ შეუძლია მოთქმა-ტირილი, რაღაც უჭერს მუხრუჭივით. მხოლოდ ერთი უტრიალებს თავში:—მის შვილს აღარ უნდა აწი მოვლა, სიფრთხილე,. რომ ძახილი არ გამოეპაროს, ყოველ წუთს აღარ უნდა ეშინოდეს მისი სიკვდილის...

დიდხანს იყო. საბრალო დედა ამ მდგომარეობაში. შვილის სიკვდილით თითქოს თვითონაც მოკვდა. აღარ შერჩა არაფრის მოსაზრება, არაფრის სურვილი... დარწმუნებული იყო, ახლა რომ ვინმემ ძალიან სცემოს, ვერ იგრძნობს, არც ეუცხოვება...

გემი კი მიცურავს, მიცურავს შეუჩერებლათ ეს უზარმაზარი კიდობანი თანასწორი რყევით, რომლის გამოც ფანჯრები ზრიალობს, პატარა სუფრაზე შუშეულობა მხიარულათ წკრიალობს...

ხანდახან ზევიდან მოისმის მიჟინებული სტვენა, ხმამაღალა ლაპარაკი, ჰერი ჭრიალობს თითქოს მეზღვაურების მძიმე ნაბიჯი ბაქანს ემძიმებაო.

რომელიღაც ნავსადგურზე გემი გაჩერდა, ხანგრძლივი სტვენა და მეზღვაურების აჩქარებული სირბილ-ყვირილი შეიქნა. მოხუცი კაპიტანი ნამძინარევი ხმით ილანძღება. გემი მიეჯახა ნაპირს და დადგა. ისმოდა, როგორ გადადიოდენ მგზავრები ნაპირზე, ახლები შემოდიოდენ. შემდეგ მიწყდა ფეხის ხმა, ხმაურობა და ელექტრონით განათებულ გემის პატარა ოთახში, სადაც მიცვალებული პეტია იწვა, სიჩუმე და შიში გამეფდა.

დრო გამოშვებით ავიწყდებოდა დედას, რომ პეტია მკვდარია. მივიდოდა მასთან, ყურადღებით დააჩერდებოდა გამხდარ-გაყვითლებულ პირისახეს, აიღებდა მის ხელს, სურდა ეკითხა ხომ არ წყურია, ან ბალიშის გასწორება თუ უნდა.

ღამე ერთი ორად გაგძელდა.

გემი ხან მიადგებოდა რომელიმე ნაპირს, ხან მიცურავდა.

იყო ისეთი წამები დედისთვის როცა ეგონა, არაფერი მომხთარა, არაფერი შეცვლილა, პეტრე ცოცხალია, და ავათმყოფი მიყავს შინ. მაგრამ მიუახლოვდებოდა მის ლოგინს და უსაშველო სინამდვილე წარმოუდგებოდა... უცებ იბრუნებდა პირს, რათა არ გაქარწყლებოდა ის რწმუნება, რომ პეტია ცოცხალია. მაგრამ მოახლოვდა განსაცდელი. ინათა.

ფარეშმა ჩაის ჭურჭელი მოიტანა. დედა შეკრთა იმ აზრით, რომ ახლავე შემოვა, შეიტყობს პეტიას სიკვდილს და ამ ამბავს ყველანი გაიგებს გემზე. შიშმა აიტანა, რომ შემოვლენ, დაუწყებენ გამოკითხვას, მერე წაართმევენ შვილსა და სადღაც უცხო ქვეყანაში, იქნება, ყრუ სოფელშიაც, სადაც შემთხვევით გემი მიადგება, დამარხვენ. არა, უნდა დაიცვას მკვდარი, უძრავი შვილის გვამი, არავის დაანებოს, წაიღოს იქ სადაც დაიბადა და გაიზარდა, სადაც გაატარა სიყმაწვილე. მკვდარი მაინც მიიტანოს იქ, სადაც ბევრჯერ მიუყვანია ავათმყოფი... და გაუღო კარები. ფარეში ხონჩით შემოვიდა. დედამ დამშვიდებული სახით უთხრა:

— წყნარათ, შენი ჭირიმე!.. სძინავს...

— კი ბატონო! ჩუმათვე მიუგო ფარეშმა და ცერებით მიიპარა პატარა სუფრასთან, დააწყო, ჭურჭელი და გაბრუნდა. მიმავალმა გადახედა პეტრეს. დედამ შეამჩნია ეს თუ არა, სწრაფათ ჩამოეფარა ლოგინს.

— რძეს არ მიბძანებთ იმათთვის?— კითხა ფარეშმა და ანიშნა პეტრეზე.

— რძეს?... გაიმეორა დედამ და უცებ დაუმატა, როგორ არა... როგორ არა... ისე, როგორც ყოველთვის... თფილი.—

— ძალიან კარგი! და ფარეში გავიდა.. აღელვებისა და იმის გამო, რომ უნდა დაფაროს პეტიას სიკვდილი; იმის გამო, რომ ორი კერძი შემოუტანეს, ახლა კიდევ თფილ რძეს მოიტანენ პეტიასთვის და ის კი მკვდარი, უძრავათ გდია—უბედურ დედას ყელში მიებჯინა და ნაკადულათ წამოხეთქა მდუღარე ცრემლმა. სულ დაასველა ხონჩა, თხლათ დაჭრილი პური, მაგრამ როცა კიდევ დაუკაკუნეს, უცებ მოიწმინდა ცრემლები, გაუღო კარები, პეტრეს ჩამოეფარა...

— ამას კიდევ სძინავს!...

— კიდევ! გაუკვირდა ფარეშს. აგერ მაგათთვის თფილი რძეც მოვიტანე.

— მანდ დადგით, ახლავე გავაღვიძებ და დავალევინებ.

ფარეშმა ჩუმათ დადგა რძე და გავიდა.

— პეტია! განგებ დაუძახა დედამ ფარეშის გასაგონათ. პეტია! კიდევ უფრო მაღლა დაუძახა, როცა კარები მიიხურა.

შემდეგ მიუახლოვდა შვილს ჩვეულებისამებრ მოკიდა ხელი, მაგრამ უცებ გაუშვა და უკან დაიხია. სულ გაყინულა, გაშეშებულა, გაყვითლებული, მილეული პირის სახე საშიში სანახავია. მაგრამ კიდევ უფრო საშიში იყო ფარეშის შემოსვლა აწი. საჭიროა, კიდევ დიდხან დაფაროს, მოატყუოს ყველა, ვინც კი იცის გემზე ამის ავათმყოფობა და ის შეხედავს თუ არა მიხვდება ყველაფერს...

თუმცა არ უნდოდა, მაგრამ რძე დალია. ნარძევალი ჭიქა, პური და დიდი შუშა წამლით პეტიას სასთუმალთან დაალაგა. რა ექმებოდა საბრალოს, მაგრამ [illegible] უფრო მოტყუებული დარჩეს ფარ[illegible] რამდენიმე ნაჭერი პური დალეჭა და გ[illegible]ყარა პირიდან. ჩაი დაისხა, გასვარა ჭ[illegible]ლები, და არივდარია სუფრა.

მთელი ღამის უძილობისა და ვა[illegible]საგან თავი ატკივდა, მუხლები მოე[illegible] მაგრამ მიწოლა არ შეეძლო... წარ[illegible]დგენაც კი დატანჯავდა, რომ ორმა [illegible] ღამემ უნდა გაიაროს, სანამ პე[illegible] მიიტანდეს შინ.

დღეც გძელდება, პატარა სარკმე[illegible]მზე მხიარულათ იჭვრიტება.

ხმაურობაა.. მაღალი ლაპარაკი, [illegible]რული სიცილი, ნაწყვეტ-ნაწყვეტათ [illegible] გარედან. როგორ შეწყდება უცებ [illegible] ქლრიამული რომ შეიტყონ, მათ ახლოს [illegible]რდით მიცვალებულია, რა შიში მო[illegible] მათ მხიარულ სახეს, რა აღელვე[illegible] მოითხოვენ მაშინვე მის გაძევებას. სა[illegible]ლო დედას უნდა დაუყვიროს მათ გ[illegible]ტონ სიცილი. განა შეიძლება მხიარუ[illegible]ბა, როცა მოკვდა ადამიანი? მაგრამ მ[illegible] ხომ ყველა გაიგებს... არა, არა თვი[illegible]ნაც უნდა ხმამაღლა ილაპარაკოს, [illegible]ნოს მათსავით, ყველა უნდა დაარწმუ[illegible] რომ ცოცხალია პეტია, უკეთ არის, მ[illegible] სულ მორჩება. განგებ ფარდას გადა[illegible] ფანჯარა გააღო. ზაფხულის თფილი ჰ[illegible] შემოიჭრა ოთახში....

კიდევ დაუკაკუნეს კარებს. საჩქარ[illegible] ფარდა ჩამოუშვა და კარები გაუღო:

— მიბძანებთ ავალაგო?—კითხა [illegible]რეშმა.

— ჰო.—მიუგო დედამ, რომელიც [illegible]რეს ეალერსებოდა.—ჩემმა ვაჟმა რძე [illegible]ლია, საჭმელი ჭამა და კიდევ დაიძინა...

— კიდევ დაიძინა? გაკვირვებით [illegible]ხა ფარეშმა.

— ჰო, მე მგონია ეს მოსახთენ[illegible] უკეთობაში მიდის და ძილიც მშვიდობ[illegible]ნი აქვს.

— ღმერთმა ქნას. სადილს რა [illegible] მიირთმევთ?

✦ შაბათს 8 ივნისს, დილის 9 საათზე …ნება მოწაფეთა ნახატების გამოფენა …ელ სამოქალაქო ექვსკლასიან სასწავლებელში.

✦ ქუთაისის საადგილო-მამულო ბანკის კრებამ 5 ივნისს ფარული კენჭის …ხმის უმრავლესობით გადასწყვიტა: …დამტკიცდეს ფინანსიური კომისიისაგან …წარმოდგენილი 1913 წლის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც უდრის 129000 მ. …თეთრი და 15 შავი) 2) მიეცეს თფი…ის მამულების შემოსავალთა ყოფილს …ს ერთი წლის ჯამაგირი 800 მან. …თ. 40 შ.) 3. გადაცვალებულ დავით …ძეზე დარჩენილი ბანკის ვალი …მ. ბანკის საშვალებით დაიფაროს …თ. 6 შავი). 4) დირექტორს თავ. …ა. მიქელაძეს, რომელმაც ყუთის და…მაზე უარი სთქვა, დაენიშნოს ყოველ…წლიურათ 1800 მანეთი და ბანკის საშვალებიდან დაფაროს ყველა მასზე დარჩენილი ბანკის ვალები. 5) გუბერნიის ყოფილ წინამძღოლს თავ. ს. დ. წერეთელს …ეს 3000 მან., რადგან 1911 წელს …წარმომადგენლობისთვის გადაწყვეტილი …ლი მას ვერ მიუღია (61 თ. 47 შ.) …მთავრობისაგან დანიშნულის გამგეობის ყოფილ თავჯდომარეზე ბ. ერემეევზე …დარჩენილი ვალი 230 მან. ჩამოიწეროს; …თ. 29 შ). 7. ბანკისთვის საკუთარი …ლის ასაგებათ საამშენებლო კომისიის …განკარგულებაში გადაიდვას 60,000 მან. …თ. და 12 შ.).

✦ თფილისში დაპატიმრებულს აქიმ …მესხელიშვილს ბრალათ სდებენ თავის …ხზე, ნებადაურთველი კრების გამართვას. …ხელიშვილს ადმინისტრატიული წესით …თვით ციხეში ჯდომა გადაუწყვიტეს.

✦ თფილისის დრამატიულ საზოგადოების მომავალი დასის უმთავრეს ძალებთან …ლაპარაკება უკვე დაუსრულებია. დასს …ისორებათ ეყოლება მ. ქორელი და …შალიკაშვილი. დასში იმუშავებენ მსახიობი ქალნი: ნ. ჩხეიძის, ნ. დავითა…ლის, მ, მდივნის, ტ. აბაშიძის და ა. …ძის ასულნი; ვაჟნი: ვ. აბაშიძე, …მესხიშვილი, კ. მესხი ვ. გუნია, …ზარდალიშვილი, ა. იმედაშვილი, გ. …ელი, დ. აბდუშელი და მგალობლი…ლი ბ. კორიშელი, ყალამბეგაშვილ, …შვილი, ნ. ციციშვილი და სხვა.

✦ ხონის სამასწავლებლო სემინარიის …ს წელს 13 მოწაფე ასრულებს.

✦ საუწყებათაშორისო კომისიამ აბას…ნის მადნეული წყლების ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ხელში გადასვლის შესახებ კანონპროეკტი შეიმუშავა. დღემდი ამ მადნეული წყლების საქმეს სამხედრო საქმეთა სამინისტრო განაგებდა.

✦ ქალაქის მთის უბნის (ნაგორნი) მცხოვრებნი სჩივიან-ლამე ფანრებს გვიან, საღამოს 10 საათზე, ანთებენ და ღამის სამ საათზე აქრობენო.

✦ დღეს 8 ივნისს ქალაქის თეატრში ნაფიცი ვექილის თანაშემწე დ. ე. ონიაშვილი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:—„ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება“.

✦ ხვალ ხონში გაიმართება სალიტერატურო საღამო. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: დ. ე. ონიაშვილი, ვარლამ რუხაძე, ი. ბახტაძე, ცვარნამი, ტ. ტაბიძე, ქუჩიშვილი, ილია მამფორია, შ. ხონელი, ვ. ბ—ძე და სხვა.

ქ. თავ.-აზ. ბანკის რწმუნებულთა კრება.

5 ივნისი.

ბანკზე დარჩენილი მამულების ვითარება ირჩევა. მდივანი კითხულობს მოხსენებას, რომელიც საკმაოთ მოზდილია... კრებაში უკმაყოფილების ხმა გაისმის.

ა. კრინიცკი:—ბატონებო, მიგეცათ ერთი ხუთი თუმანი და დაგებეჭდვინებიათ. მაგის მოსმენამ დაგვღალა, მით უფრო როგორ შევიძლებთ განხილვას!

იოსებ კაკაბაძე:— უნდათ, რომ რწმუნებულებმა ექსპრომტათ უპასუხონ.

ი. ფანცხავა:—არ დავბეჭდეთ, რადგან არ გვინდოდა ეს მოხსენება არა სასურველ პირთ ხელში ჩავარდნოდა.

მოხსენებაში სწერია:—დიდი სარგებლობა მოიტანეს ბანკზე დარჩენილი მამულების გაყიდვაში კომისიონერებმა. მათი შემწეობით მილიონისაზე მეტი მამული გაიყიდა. თუ მამული წაგებით გაიყიდა მაშინ კომისიონერს ეძლევა პროცენტი კაპიკნახევარი, თუ მამული თავნზე გაიყიდა—ეძლევა 2 კაპიკი და თუ მოგებით —25 პროცენტი.

კვირკელია.—25 პროცენტი ფულის მთელი რაოდენობიდან, თუ მოგებიდან?

მ. ფალავა:—რასაკვირველია, მოგებიდან!

პ. წულუკიძე:—არა მგონია, სხვა ბანკებიც კომისიონერთა შემწეობით ანაღდებდენ ფულს.

მ. ფალავა:—ყოველ შემთხვევაში ბანკი არას კარგავს. მართალი გითხრათ, ძალიან მაკვირვებს და ვერ შევრიგებივარ იმ აზრს, რომ მაინცადამაინც თუ სხვაგან არაა ნურც ჩვენ გვექნებაო, ესა თუ ის ნისიაო. ყოველთვის რატომ სხვისი მაგალითებით უნდა ვისარგებლოთ, ერთხელ ჩვენგანაც გადაიღონ მაგალითები, თუ ეს სასარგებლოაო.

ს. ბახტაძე: კი, მაგრამ ნუთუ საქმის ამგვარ წარმოებაში ფიქცია არაა შესაძლებელი? მაგალითად, მამული ღირს 40 ათასი, გადასახადი აქვს 2 ათასი. მყიდველი იხდის გადასახადის ერთ ნახევარს 100 მანეთს და მამული კი წლიურათ 15 ათას მანეთ სარგებელს იძლევა.

მ. ფალავა: ჩვენ ტყვილა უბრალოთ წყალში არაფერს გადავყრით. თუ მამული ისეთია, როგორც თქვენ ბძანეთ, მაშინ ჩვენს მდგომარეობას ანგარიშს ვუწევთ და ჩვენი მოქმედება მყიდველს კი არა, პირველ-ყოვლისა ჩვენ გვაძლევს სარგებლობას.

ნ. თაყაიშვილი:—თუ მამულები ასე ადვილათ იყიდება ამის მიზეზი უფრო ისაა, რომ გლეხებმა შეიგნეს მიწის ყიდვის საჭიროება. ოზურგეთში პატარა ნაჭერი მიწა იყო, მე ვიყავი კომისიონერი. გამოვგზავნე მყიდველი ქუთაისში, მაგრამ აქ რომ ჩამოვიდა, ვიღაც სხვა კომისიონერი დახვედროდა და იმას გაეთავებია ჩემი გაკეთებული საქმე. პატარა „სუმა“ იყო და ვერ ვუჩივლე და ვერ ვსთქვი, რომ საქმე ჩემი გაწყობილი იყო. საჭიროა, თითოეულ მაზრაში თითო კაცი გყავდესთ, რომელიც გააკეთებს ყველა ამნაირ საქმეს, იმას ქონდეს უფლება კომისიონერობის და არა აქაურს. საიდან იცის უცხო პირმა ვინაა სოფელში მამულის მყიდველი?

იოსებ კაკაბაძე:—ასეთი სისტემა, როგორც მოგახსენათ თაყაიშვილმა, უნდა შეიცვალოს.

თავჯდომარე:—ნუ იმეორებთ!

ი. კაკაბაძე:—თაყაიშვილს არც სისტემა უხსენებია და. არც წესი. კრიმინალისტი ლომბროზო ამბობს ერთ შემთხვე...

თავჯდომარე ზარს აწკარუნებს. ხმები.—აცალეთ! ზოგი იცინის, ისმის ყვირილი.

ი. კაკაბაძე:—(თავჯდომარეს) თქვენ აძლევთ კრებას სიგელს, რომ ახმაურდეს. ჩანს არ გაქვთ უნარი თავჯდომარეობის... (სიტყვასააწყვეტიებენ)

კვირკელია:—Я нахожу... ხმები:—ქართულათ, ქართულათ!

თავჯდომარე:—ვისაც სურს შემდეგ ქართულათაც გადავუთარგმნით.

კვირკელია აღნიშნავს, რომ კომისიონერობა სასარგებლოა, მაგრამ ყოველივე რომ ამას მივაწეროთ არ შეიძლებაო.

ბ. მოსეშვილი:—თუ ადგილები იყიდება არა მარტო კომისიონერების წყალობით, არამედ იმიტომ, რომ ადგილების ფასმა აიწია. იყო ასეთი მაგალითი: საქარიდან გლეხი ჩამოვიდა ადგილის საყიდლათ დახვდენ კომისიონერები და უთხრეს, თუ ამდენსა და ამდენს არ მოგვცემთ, მამულს ვერ იყიდიო. რა დიდი საქმე იქნება წელიწადში ერთხელ ორჯერ ადგილობრივ გაზეთებში გამოაცხადოთ გასაყიდი ადგილების სია.

ი. გელოვანი:—კაცს კაცზე ყოველთვის აქვს გავლენა, ყოვლად შეუძლებელია, თუ 20 ათასი მანეთის საქმეში კაცი არ ჩამოვარდა, საქმე ისე მოგვარდეს.

ვ. ჭილაძე:—გამოვცადეთ უკომისიონერობა, მაგრამ არ გვარგო. შარშან კომისიონერებზე 33 ათასი მანეთი დაიხარჯა, მაგრამ მაგივრათ მამულების უმეტესი ნაწილი გავანაღდეთო.

ა. კრინიცკი:—ვხედავთ, რომ ამ საქმეს სარგებლობა მოუტანია და რაღაა ლაპარაკი? ბატონებო, მილიონი მანეთის მამული მოგვიშორებია და ეს სახუმრო საქმე არაა. მე მაკვირვებს ბ-ნი კვირკელიას ლაპარაკი, რომ ორი ათას აიღებენ და სამიათასს კი კომისინერებს მისცემენო. აბა, მთელი გამგეობისა და კომიტეტის შეერთებული კრება სულელი ყოფილა? ოღონდ მოვიშოროთ ჭირი თავიდან და აიღონ, ბატონო, კომისიონერებმაც.

მ. ფალავა:—რომ კომისიონერები არ ყოფილიყვენ ამდენ მამულს ვერ გავყიდდით. რაც შეეხება ბ-ნი თაყაიშვილის აზრს, რომ მაზრაში თითო კაცი გვყავდეს და მეტი არავინ, ესეც შეუძლებელია. ვინც იკისრებს კომისიონერობას, ვინც ადგილს გაგვაყიდვიებს, სასყიდელიც მას მიეცემა.

(გაგძელება იქნება)

დეპეში.

საზღვარგარეთი.

სოფია. სერბიის ნოტაზე ბულგარეთის პასუხის შესახებ ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ბულგარეთის ჯარის სერბიის საზღვარზე მოგროვებას ის მიზანი არა აქვს, რასაც მას სერბიელები აწერენო. სამხედრო მზადებას ბულგარეთი მხოლოდ სერბიას შემდეგ შეუდგაო. რაც შეეხება სერბიელთა იმ აზრს, ვითომ ბულგარეთი სოლიდარულად გრძნობით არ იყოს გაჟღენთილი, სიმართლე არ არისო.

ლონდონი. ელჩების დღევანდელ კონფერენციის სხდომაზე სამხრეთ ალბანეთის საზღვრების შესახებ მოსაზრებები. საბერძნეთის დელეგატებმა გააცხადეს, რომ ისინი არ ეთანხმებიან იტალიისა და ავსტრიის პროეკტს ამ საზღვრების შესახებო.

მილანი. მუშათა საყოველთაო გაფიცვა დასრულდა.

სოფია. მეფე ფერდინანდმა რუსეთის მეფისგან სამძიმრის დეპეში მიიღო. რუსეთის მეფე მწუხარებას გამოსთქვამს მიწის ძვრისაგან ზოგიერთი ადგილის დაზარალების გამო.

ბერლინი. რაიხსტაგში სამხედრო კანონპროეკტის მუხლებით განხილვას განაგრძობენ. სოციალისტებთა წინადადება, რომ სამხედრო ბეგრის დრო ერთი წლით განსაზღვრულიყო, უარყვეს.

პარიზი. სირიის არაბთა პირველი კონგრესი გაიხსნა. კონგრესის პრეზიდენტმა სეიდაბდულ რედიმა გააცხადა—მომავალი ოტმანიის იმპერიისა ოსმალთა და არაბთა შეერთებულ მუშაობასა და დაახლოვებაზეა დამოკიდებულიო.

სტამბოლი. 480 კაცი, რომელთაც ბრალდებათ შეთქმულობაში მონაწილეობა სინოპში გადაასახლეს. გადასახლებულთა შორის ხუთი ვექილია, სამი ყოფილი დეპუტატი, ოთხი ჟურნალისტი და სხვა.

ვენა. დეპუტატთა პალატაში უკრაინელთა დროებით ბიუჯეტის შესახებ მსჯელობას განაგრძობენ. ოლესნიცკის, პოლონელთა და რუსთა შეთანხმებაში, მთავრობა მიაჩნია დამნაშავეთ. ლაპარაკობს პოლონელთა შლიახტის შესახებ.

მაკედონიის შინაურ საქმეთა ორგანიზაციის სახელით მინისტრ პრეზიდენტსა და დიდ სახელმწიფოთა ელჩებს ჩააბარეს დეკლარაცია, სადაც სწერია, რომ მაკედონია ბულგარეთის ნაწილს უნდა შეადგენდესო. დეკლარაციაში აღნიშნულია—მაკედონელები ბრძოლას არ შეწყვეტენ, თუ ეს მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი დარჩაო.

ბულგარეთის სააგენტო უარყოფს იმ ხმებს, ვითომც ბულგარეთის ჯარის პირველი დივიზია აჯანყებულიყოს.

ბუდაპეშტი დეპუტატთა პალატამ უმაღლესი თანამდებობის პირთა შეურაცხმყოფლების სასტიკათ დასჯის შესახებ კანონპროეკტი მიიღო.

— სადილს,—გარკვეულათ გაიმეორა …დამ.—ოთხ საათზე....

— ორ კერძს გვიბძანებთ?

— დიახ, დიახ, ორი კერძი... სიჩქა…თ მიუგო დედამ. დღეს ამას კარგი მა… უნდა ექნეს...

— ბატონი ბძანდებით!

…აღარ ღამდება, ნელა მიდის დრო. გა…ასებ ვიწრო ოთახში მიმოდის შეწუხებული დედა. უფრო იმის წარმოდგენა …ულებს გულს, რომ ორი დღეღამე …ევ უნდა ატაროს სიცრუის ნიღაბი, …ავს საიდუმლო. თანდათან შიშსა …ის ოთახში ყოფნა, ვერც გაუბედია ბა… ასვლა.

…ულ არ შია, მაგრამ ძალით ჭამა, რაც …ა, გადაყარა.

…როცა ასალაგებლათ ფარეში შემოვი… ფარეში, გულდამშვიდებით უთხრა:

— რა კარგი მადა აქვს დღეს ჩემ …ს.. ხედავთ, არაფერი მორჩენია.... …შეჭამა...

ძალიან კარგია, ღვთით, მალე …ება.

გამოძღა და კიდევ დაიძინა... სა…ულია, რა მაგარი ძილი აქვს....

— კიდევ?—გაიკვირა ფარეშმა.

— დიახ, სძინავს და სძინავს... სთქვა …მ და პირველი გაურბინა ეჭვმა, რომ …ეშს არა სჯერა.....

…ყურადღებით დაუკვირდა იმის სახეს, …რამ ვერაფერი შემჩნია და შემკრთალი… პირი აარიდა. იმის წარმოდგენამ, რომ …მოა, ამან გაიგოს, მაშინვე ყველა შე…უობსო, შიშის ზარი დასცა უბედურს. …ება აქიმს, სანამ ის მიხვდებოდეს, …ონ უთხრას, ფული აჩუქოს და …ვაწოს, ნუ გასცემს? მაგრამ ენა არ …ილებოდა, მამაცობა არ შესწევდა. …ღვრემილი, სევდის მომგვრელი სა… მოახლოვდა. ფიქრობს, რომ გაანა… ოთახი, ვაი, თუ ველარ გაუძლოს, …ურებას სინათლეზე..

…რომ გავიდეს ოთახიდან, იქნება, მოიშორის ის ტვირთი, რომელიც ისე დასწოლია მის ტვინს და შეუხუთავს: უძილობისა და ოთახში შეხუთული ჰაერისგან თივი უსკდება, საჭიროა წმინდა ჰაერი.

საჩქაროთ ჩაიცვა ტანისამოსი და გავიდა. იქვე შეხვდა ნაცნობი მასწავლებელი და მისი ცოლი.

— როგორაა თქვენი ვაჟი?—კითხა მასწავლებელმა.

— გმადლობთ,—ღიმილით მიუგო დედამ, შესამჩნევათ მოიხედა, მთელი დღე მშვენიერათ გრძნობს თავს... ეს არის დაიძახა და გამოვედი წმინდა ჰაერის ჩასაყლაპავათ.

— თქვენც მეტათ გაწვალდით,—უთხრა მასწავლებლის ცოლმა.

— რასაკვირველია! სიმრთელე პირველი საქმეა ცხოვრებაში —სთქვა მასწავლებელმა.

დიდხანს ილაპარაკეს, უსაშველო ავათმყოფობაზე, სიკვდილზე, რომელიც აუცილებელია და გამანადგურებელი ცხოვრებაში. ადვილი მისახვედრია, ამ მრთელ ადამიანებს, რომელთათვისაც ჯერ შორსაა სიკვდილი, აზრათაც რომ გაევლოთ პეტრეს მდგომარეობა, მაშინვე ჩამოშორდებოდენ, უჩივლებდენ კაპიტანთან, მოითხოვდენ მიცვალებულის მოშორებას, რადგან შერიგებული სიკვდილი, გემზე ჯანსაღათ მხიარულების დროს, ლაჟვარდი ცა, გაშლილი წმინდა ჰაერი და მიცვალებულის გვამის სული, მოუთავსებელია ერთად.

დაღამდა, სიბნელემ მოიცვა ვოლგა ნაპირებით. მასწავლებელი ცოლით წავიდა. თითქმის არავინ დარჩა ბაქანზე. მარტო დედა კიდევ იჯდა, არ იძროდა... რაღა უნდოდა მიცვალებულთან, ეშინოდა კიდეც კარების შეღებისა ბნელ ოთახში...

აბა სად უნდა წავიდეს..

მაგრამ, შევიდა ოთახში თუ არა, ჯერ ვერაფერი გაერჩია სიბნელისაგან, რომ ყნოსვის შემზარავი სუნი იგრძნო. ეს ადრე არ შეუნიშნავს, მიხვდა საიდანაც მოდიოდა ეს სუნი. შიშის ელდა ეცა იმის მოფიქრებით, რომ ვეღარ დაფარავს პეტიას სიკვდილს.

სული შეუგუბდა მძიმე ჰაერისგან და როცა კარები მიხურა, ეგონა, ისე ვიწრო და აშმორებულ ორმოში ჩავარდა, საიდანაც ვეღარ გათავისუფლდება...

გაანათა ოთახი, დაინახა პეტია... ახლა უფრო იგრძნო საშინელი სუნი ლეშისა. სუნი იზდება, დაცოცავს, ეკვრება კედლებს, ხელებს, პირ-სახეს, როგორც ცოცხალი არსება, სწვავს შეხებით. ვერსად დაემალება. ფანჯარაც ვერ გააღო.. სუნი მისწვდებოდა სხვასაც.

სინათლე გააქრო. დაემხო თავდაღმა, სახე ბალიშში ჩაფლა, მაგრამ ოთახში გამდგარი სიმყრალე იქაც შეძვრა და სუნთქვა შეუხუთა.

მთელი ღამე ასე იწვა, განძრევისა ეშინოდა. გრძნობდა, რო მძორის სუნი თანდათან მატულობდა.

ჩვეულებრივ კარებზე დაუკაკუნეს.

მარია ივანოვნა წამოხტა. სიმყრალისგან გარეტებული მთვრალივით დაბარბაცდა. მიირბინა კარებთან და გააღო, თვითონ კი თავისი ადგილი დაიჭირა.

შემოვიდა თუ არა ფარეში, შედგა, სახე მოღუშა, ტუჩები აუთრთოლდა, თვალები გაჰქუტა.

— დილა მშვიდობისა!—შემკრთალი ხმით სთქვა ფარეშმა.

დედა მიხვდა, რომ იმანაც იგრძნო.

— გამარჯობა!—მიუგო, და თუმცა ისე ბეჯითათ არა, მაგრამ მაინც დაუმატა,—ჩემს შვილს კიდევ სძინავს! —

— კიდევ! გააგძელა სიტყვა ფარეშმა.

დედა თვალს არიდებდა, ეშინოდა, საცაა მეტყვის რომ, იცის ყველაფერი, და არ იცოდა, რა პასუხი გაეცა.

ფარეში მიტრიალდა და გავარდა გარეთ.

უბედურ დედას სული შეუგუბდა, აღარ შეუძლია სიარული, აღარც ფეხზე დგომა. მიეგდო ლოგინზე და აკანკალებული ხელებით ბალიშში ცხვირპირზე მიიკრა. თავი უსკდება, მოსაზრებაც დაუჩლუნგდა. ხოლო, როცა კარებზე კიდევ დაუკაკუნეს, ჩვეულებრივი მორიდებით კი არა, არამედ ბძანებით და მიჟინებით, დედა წამოვარდა,—და აღარ იცოდა, შეიძლებს თუ არა კვლავ მოტყუებას, დაფარვას.

კარები გააღო, ფარეში არ შემოვიდა, კარებშივე შედგა, უკან კი, რამდენიმე თავმა დაიწყო ოთახის თვალიერება.

— რა ამბავია! რა მოხთა?—იკითხა დედამ, რომელსაც თვით აშინებდა მისი ხმა და სიტყვები.

— უკაცრავათ, ქალბატონო!—მოკრძალებით მიუგო ფარეშმა, მგზავრები ნაწყენი არიან...

— რათ არიან ნაწყენი, რა მოხთა!? დაიყვირა დედამ, რომელიც მიხვდა ყველაფერს და უნდოდა კარები მიეკეტა, მაგრამ კარებში ფარეში იდგა და ღრეჭოთ დარჩა. დედა უცებ მიეფარა ამ ღრეჭოს, რომ ოთახში არავის შემოეხედა და სუნიც არ გასულიყო.

— ცუდი სუნის გამო!—დაუფარავათ უთხრა ფარეშმა.

— რა სუნიო! რას ამბობ!—შეყვირა დედამ.

— უკაცრავათ, ქალბატონო! უთხრა აქვე კარზე მომდგარმა სხვა კაცმა.—ჩვენ ვიცით, რომ თქვენი ვაჟი მძიმე ავათმყოფია... შეიძლება რამე...

ერთმა სამხედრო პირმა სიტყვა გააწყვეტია.

— თქვენი ვაჟი იქნება გადაიცვალა?—შეუბრალებლათ წამოიძახა. ეს როგორ შეიძლება? ახლა ზაფხულია, ამ სიმყრალისგან სუნთქვა აღარ შეიძლება. ჩვენ სიამოვნებისთვის ვმოგზაურობთ!

— რას ლაპარაკობთ! ჩემი შვილი სრულებით კარგათ არის.. მშვენიერათ სძინავს... ძლივს წარმოსთქვა დედამ.

— მაშ, ნება მომეცით, გავსინჯო! უთხრა მესამემ...

— რისთვის? რა უფლება გაქვთ!...

— ეგ აქიმია,—წამოიძახა ვიღაცამ.

— იქნება რამე დახმარება გავუწიო, თქვენს შვილს, მაჩვენეთ! სთქვა აქიმმა და ნაბიჯი წადგა.

— არა,! —შეტევით შეუყვირა საბრალო დედამ, არ მოგცემთ ნებას..—არ შემოგიშვებთ!.. და რაც ძალი და ღონე ქონდა მთელი ტანით მიაწვა კარებს.—გამეცალეთ!.. დამანებეთ თავი!.. როგორ მიბედავთ!—სასოწარკვეთილობით ყვიროდა უბედური.

— ის აღარ გრძნობდა მძორის სუნს, მხოლოთ ერთის ეშინოდა; რომ ველარ შესძლოს, ღონემ უსუსტოს, წაიქცეს, მაშინ შემოცვივდებიან და წაართმევენ შვილს.

— ეს უმზგავსობაა!—ისეთი ხმით დაიყვირა ვიღაც ქალმა, რომ ყველას გადააჭარბა.—კაპიტანს დავუძახოთ!

— დაუძახეთ, კაპიტანს, დაუძახეთ! აყვირდა ხალხი.

— კაპიტანის წინაშე, რომელიც გაბრაზებული მოვიდა, რომ გაალვიძეს, საცოდავ დედას ღონე მიუწყდა, დაბარბაცდა, ძლივს შეიმაგრა თავი...

— რა ამბავია? რა მოხთა?. გაანჩხლებული კითხულობდა კაპიტანი.

მგზავრები ყვიროდენ, სულ ყველაფერი გადასცეს კაპიტანს, უკანასკნელი მიადგა კარებს.

სასოწარკვეთილათ შებღავლა, უბედურმა დედამ და უკანასკნელი ტონით მიაწვა კარებს, მაგრამ კაპიტანმა ღონივრათ შეგლიჯა კარები და ჩამოიშორა დედა...

— არ გაბედოთ ჩემი შვილის ხელის ხლება!—იყვირა დედამ.—არ გაბედოთ! —გაკიოდა, მაგრამ მალე ჩაუწყდა ხმა, გამოურკვევლათ იწყო ღრიალი, ბღავილი და დაასკდა შვილის გახრწნილ გვამს...

ანა პეტრიაშვილისა.

სავაჭრო სახლი გოკიელის ძმ-ბი ქუთაისში

მიღებულია: შაბიამანი ინგლისის, გოგირდი დაფქვილის საუკეთესო ხარისხის, ნამდვილი „ვერმორელის“ მანქანა, გოგირდის საბერველები და ...

იყიდება ზომიერ ფასათ.

ვენა. მოვიდა პრემიერ მინისტრათ ყოფილი გეშოვი.

რუსეთი

პეტერბურგი. გერმანელთა კლუბის დარბაზში გერმანელთა კოლონიამ, გერმანიის იმპერატორის 25 წლის მეფობის გამო, ბანკეტი გამართა.

პიროგოვის საზოგადოებათა კრება დაიხურა. შემდეგი კრება მოსკოვს 1914 წ. შობის უქმეებზე მოხდება.

ახალ გზათა შესახებ კომისია შეუდგა პროექტის განხილვას, რომელსაც მიზნათ აქვს ციმბირის სხვადასხვა ნაწილი ჩრდილოეთ რუსეთს შეუერთოს.

ფინანსის მინისტრმა მინისტრთა საბჭოში შეიტანა პროექტი ავათმყოფობის დროს მუშათა მდგომარეობის უზრუნველყოფის შესახებ.

გამოქვეყნდა მთავრობის ოფიციალური ცნობა 1912 წელს ლენის ოქროს-მრეწველთა ამხანაგობის მუშების გაფიცვის შესახებ. ოფიციალურ ცნობაში მოთხრობილია ამ ამხანაგობისა და გაფიცვის შესახებ რევიზიის ისტორია.

ოდესა. ანტიოქიის პატრიარქი თავის ამალით მოვიდა, სადგურზე სასულიერო წოდება მრავლათ დახვდა.

კავკავი. დროებით სამხედრო სასამართლო შეუდგა პიატიგორსკში ჟანდარმის პოლკოვნიკის მოკვლის საქმის გარჩევას.

ლოძი. დაადგინეს ლოძის გუბერნიაში შვიდი წლით საყოველთაო სწავლების შემოღება. ამ დადგენილების განსახორციელებლათ შკოლათა რიცხვი 73-დან 466-მდი ავა.

იაკობ გოგებაშვილის საღამო ბაქოს ქართულ შკოლაში.

დავესწარი ჩვენი აღმზრდელი მამისა და მასწავლებელის, განსვენებული, ი. გოგებაშვილის საღამოს ბაქოს ქართულ შკოლაში და დიდი სიამოვნება და სულიერი კმაყოფილება ვიგრძენი.

საღამოს პრაგრამა მეტათ ლამაზათ და გონივრულათ იყო შედგენილი, აიხადა ფარდა და სცენის შუაგულს გამოჩნდა იაკობის ვარდ-ყვავილებით შემკობილი სურათი. გამოხტა პატარა გოგონა და გვამცნო, რომ სწორეთ შარშან გაზაფხულზე მთელს საქართველოს ელვის სისწრაფით მოედვა გოგებაშვილის ავათმყოფობის სამწუხარო ამბავი. შ. მღვიმელმა დახწერა მოხუცის გასამხნევებელი ლექსი „არწივს“ (რომელიც კოხტათ და გრძნობიერათ წაიკითხა მან). შემდეგ შკოლის გამგემ ბ.-მ. კაკაბაძემ დაახასიათა ი. გოგებაშვილის სიცოცხლე და მოღვაწეობა, სადაც ხაზ-გასმით აღნიშნა დედა-ენის მნიშვნელობა ერისა და კერძოთ სახალხო შკოლების ცხოვრებაში. შემდეგ მოწაფეებმა რიგ-რიგათ მოხდენილათ წაიკითხეს ლექსები, ითამაშეს შკოლის გამგის მიერ გადმოკეთებული საბავშო კომედია „ბავში აქიმთან“ იმდენათ მოხდენილათ და მწყობრათ, რომ ბევრს სცენის მოყვარესაც კი შეეხარბებოდა. ამას მოყვა სიმღერა. იმღერეს ბ. ი. ქარუმიძის ლოტბარობით „სამშობლო“ და „ირემო“ შემდეგ განაგრძეს ლექსების კითხვა. ერთმა მოწაფემ, გოგომ საკუთარი მეტათ მოხდენილი ლექსი წაიკითხა. შემდეგ სცენაზე გამოჩნდენ ქულაჯებში გამოწყობილი შეიარაღებული მოწაფეები, მოშორებით მაღლობზე დგას პატარა კახის ტინისამოსში გამოწყობილი ყმაწვილი და თავის ჯარს აღა-მამად-ხანთან შესაბრძოლებლათ ამხნევებს. ჯარმაც ერთხმათ სამშობლოსათვის ვაჟკაცურათ თავის დადება აღუთქვა. ამ სურათმა ღიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. საღამო მოწაფეთა გუნდის სიმღერებით დასრულდა და ფრიად ნასიამოვნები საზოგადოება დაიშალა. ყველას ის რწმენა თან წაყვა, რომ შკოლა მკვიდრ ნიადაგზე დამყარებულა, სასურველ პირობებში ყოფილა ჩაყენებული და თვალსაჩინო ნაყოფიც მოუტანია.

დამსწრე.

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჰელიძე.**

იყიდება

ქუთაისში „პოდგორნი“ ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი“ ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.

გამოცდილი მოანგარიშე

დაეძებს

მოანგარიშის ადგილს რომელიმე სავაჭრო დაწესებულებაში.

იკითხეთ: ვორონცოვის ქუჩაზე, მოვაჭრე მაქსიმე მანაგაძესთან.

აბანო

ძმ. ყორყოლაძეებისა

მიმართეთ პირდაპირ

15 მაისიდან გაიხსნა შესანიშნავი მადნეული წყალი.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭის და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. ფასი ხელმისაწდომი. ხრესილის რკ. გზ. სადგურიდან ორმოცდაათი საჟენის მანძილზეა. იქვეა სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი.



Имѣете дѣло съ самымъ авторомъ,

но не алчущими наживы издателями.

великія тайны гипноза!

НАША СИЛА ВНУТРИ НАСЪ!

ХОТИТЕ ЛИ ВЫ ПОДЧИНЯТЬ ЛЮДЕЙ СВОЕЙ ВОЛѢ, ВЛАДѢЯ ВЕЛИКОЙ ТАЙНОЙ СИЛОЙ?

Я, Психо-Френологъ Х. М. Шиллеръ-Школьникъ, даю дѣйствительно полный курсъ гипнотизма, большой томъ, въ богатомъ съ золотымъ тисненіемъ переплетѣ **вмѣсто 12 р, только за 2 р.**

Мой курсъ заключаетъ въ себѣ много цѣннаго и новаго въ области гипнотизма. Мое произведеніе ведетъ къ самоусовершенствованію, учитъ вліять и дѣйствовать на окружающихъ посредст. внушенія въ состояніи бодрствованія.

Мой курсъ содержитъ въ себѣ 98 важнѣйшихъ главъ. Онъ учитъ вліять, дѣйствовать и внушать безъ усыпленія. Только въ моемъ курсѣ имѣется обширныи отдѣлъ чтенія чужихъ мыслей.

Въ немъ широко разработаны отдѣлы: лѣченіе посредствомъ открытаго внушенія пьянства, куренія, азартной игры, онанизма, неврастеній, головной боли, безсонницы, недержаніе мочи, заиканія и проч.

Самовнушеніе. Быстрое предотвращеніе страха. Укрѣпленіе памяти и устраненіе разсѣянности.

Произведеніе это замѣчательно и рѣзко отличается отъ всѣхъ прочихъ изданій этого рода своей общепонятностью. По отзывамъ лицъ, пользующихся этимъ курсомъ гипнотизма, онъ раскрываетъ новый невѣдомый міръ, поднимаетъ духъ и настроеніе, даетъ силу, мощь, ведетъ къ счастью и довольству. Роскошное зданіе со множествомъ рисунковъ, съ портретомъ автора и знамѣнитѣйшихъ медіумовъ. Для, прохожденія моего курса не требуется никакихъ особенныхъ знаній. Онъ приноситъ неоцѣнимую пользу мужчинамъ и женщинамъ, старымъ и молодымъ, богатымъ и бѣднымъ, сильнымъ и слабымъ, здоровымъ и больнымъ. Мой курсъ вышелъ новымъ значительно увеличеннымъ, исправленнымъ и дополненнымъ изданіемъ.

Въ курсѣ заключается слѣдующее содержаніе: 1) Введеніе. 2) Что такое гипнотизмъ. 3) Исторія гипнотизма 4) Чѣмъ долженъ быть гипнотизеръ 5) Качества гипнотизируемой личности. 6) Средства и методы гипнотизма. 7) Дѣйствіе гипнотизера на гипнотизируемую личность. 8) Гипнотическій сонъ, 9) Пробужденіе. 10) Что чувствуетъ и испытываетъ усыпленный посредствомъ гипнотизма. 11) Отгадываніе чужихъ мыслей. 12) Какъ развитъ способность чтенія мыслей. 13) Методъ и способы чтенія мыслей. 14) Что способствуетъ удачнымъ экспериментамъ. 15) Что мѣшаетъ удачнымъ опытамъ. 16) Какъ вліять, дѣйствовать и внушать безъ усыпленія въ состояніи бодрствованія. 17) Опыты открытаго внушенія. 18) Лѣченіе посредствомъ открытаго внушенія пьянства, куренія, азартной игры, онанизма, неврастеніи, головной боли, безсоницы, недержаніи мочи, заиканія и проч. 19) Самовнушеніе. 20) Быстрое предотвращеніе страха. 21) Укрѣпленіе памяти и устраненіе разсѣянности. 22) Совѣты намѣревающихся публично демонстрировать опыты гипнотизма. 23) Побѣда мысли. 24) Пріемы и упражненія. 25) Путь къ счастью и довольству и пр. пр. Прошу не сравнивать съ московскими и иными лубочными изданіями, я даю за 2 р. вполнѣ законченный курсъ, никакихъ добавочныхъ лекцій и расходовъ не требуется. Брошюра съ отзывами и благодарности ученыхъ, высокопоставленныхъ и знатныхъ особъ прилагается при всякомъ заказѣ. Здѣсь за неимѣніемъ мѣста для убѣжденія приводятся лишь нѣкоторые.

Читайте!

Священикъ от. Василій Спѣвачевскій, почт. ст. Улановъ, Под. губ.: „Высокочтимый господинъ Х. М. Шиллеръ- Школьникъ. Книгу вашу „Гипнотизмъ“ получилъ и прочелъ и искренно благодарю. При чтеніи книги мнѣ нѣкоторымъ образомъ открылась завѣса тайнъ человѣческаго существа, которыя до извѣстной границы могутъ быть постигнуты и подвластны чѣловѣку. Я глубоко увѣренъ въ гуманности и добрыхъ намѣреніяхъ Вашей дѣятельности и поэтому остаюсь съ искреннымъ уваженіемъ священникъ Василій Спѣвачевскій“.

Василій Өедоровичъ Кремповскій Новороссійскъ, контора инженера Щепеновича пишетъ: Присланнымъ Вами курсомъ гипнотизма очень интересуюсь, занимаюсь и благодарю васъ, чувствуя себя гораздо лучше. Мой братъ также пользуется Вашимъ курсомъ и также очень доволенъ. Съ совершен. почт. Кремповскій.

В. В. Королевъ, Савино. „За курсъ гиптоизма ничего, кромѣ безграничной благодарности и сердечнаго „спасибо“ сказать не могу и лучшей благодарности не придумаю. Книга поражаетъ ясностью изложенія и цѣностью ея содержанія. При всемъ этомъ она значительно и роскошно иллюстрирована въ богатомъ переплетѣ, и такая минимальная цѣна, какъ 2 р., какую Вы назначили, свидѣтельствуетъ о Вашемъ благомъ намѣреніи широко распространить эти драгоцѣнныя для всякаго свѣдѣнія и совѣты среди интересующихся, въ чемъ отъ души желаю Вамъ полнаго успѣха. Пребываю съ высокимъ почтеніемъ къ Вамъ В. В. Королевъ“.

Ермолай Алексѣевичъ Фроловъ. гор. Илекъ, Уральской обл., пишетъ: Глубокоуважаемый г. Шиллеръ-Школьникъ. Вашъ курсъ гипнотизма осчастливилъ меня: я достигъ блестящихъ результатовъ по гипнотизму. Я вылѣчилъ многихъ отъ различныхъ болѣзней и дурныхъ привычекъ. Никакой кладъ и богатство не могутъ сравниться съ пріобрѣтенными мною отъ Васъ познаніми. Я остаюсь искренно благодарный и всегда готовый рекомендовать Вашъ курсъ, который можетъ принести большую пользу всѣмъ. Покорный слуга Фроловъ“.

Еслибы Вы захотѣли, для убѣжденія, обратиться къ кому либо изъ вышепоименованныхъ лицъ, то приложите къ письму конвертъ съ Вашимъ адресомъ и наклееной маркой. Восторженные отзывы, и благодарности отъ частныхъ лицъ получаются ежедневно; у насъ ихъ множество, подлинники предъявляются во всякое время всѣмъ желающимъ у насъ въ конторѣ. Но кромѣ частныхъ отзывовъ и благодарностей, вотъ что пишетъ солидный с.-петербургскій оккультный журналъ „ИЗИДА“, издаваемый извѣстнымъ ученымъ знатокомъ оккультизма И. К. Антошэвскимъ, во второмъ номерѣ журнала за ноябрь 1910 г.: „Гипнотизмъ Х. М. Шиллеръ-Школьника, изящно изданная книга знакомитъ читателя, какъ теоріей, такъ и съ практическими пріемами гипнотизма. Среди множества сочиненій и лекціи по гипнотизму эта книга заслуживаетъ особеннаго вниманія, благодаря весьма популярному изложенію сущности гипнотизма. Несмотря на сравнительно невысокую цѣну, эта книга вполнѣ замѣняетъ дорого стоящія изданія американ. институтовъ“.

Полный курсъ со всѣми приложеніями высылается за 2 руб. Деньги присылать переводомъ, можно марками, только заказнымъ письмомъ, въ темномъ конвертѣ плотно оклейвать края мелькими марками, Наложеннымъ платежомъ на 30 к. дороже. Писать свою фамилію и адресъ ясно и разборчиво.

Нашъ адресъ: **Варшава, Психо-Френологу Х М. Шиллеръ-Школьнику Пенкная 25 ф.**

გ. გორდამის და ს. წერეთლის

ერთად ერთი წარმომადგენელნი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, ... სტეფანეს მის ნეჩავ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, ... განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „бемское“ რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველთვიურ ჟურნალ

„განთიადზე“

(წელიწადი პირველი)

და ყოველკვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

წელიწადი მეხუთე

წლიური ფასი ჟურნალისა ცალკე 5 მანეთი, გაზეთისა 4 მანეთი, ... ვესი ერთად 8 მანეთი. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მას... ლებლებს **ორივე გამოცემა წლიურათ 7 მანეთად დაეთმობა.** ორივე გა... ცემა სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივია.

რედ. ღვ. ს. მჭედლიძე

გამართული ხელისმოწერა 1913 წლის ყოველდღიურ საპოლიტიკო და სა... რატურო გაზეთ **„სახალხო გაზეთზე“** ...

1913 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა ... ზეთს 1913 წელსაც ექნება **სურათებიანი დამატება.**

(კვირაობით)

პრემიად წლიური ხელის მომწერნი 1913 წლის განმავლობაში **მიიღებ...**

ორ წიგნს:

1) უცხოეთის მწერლები. ზომით არა ნაკლები 400 გვ. დაურიგდება იანვრის დასასრულს.

2) ქართველი მწერლები. ზომით არა ნაკლებ 500 გვ. დაურიგდება ეკენისთვეში.

გაზეთის ფასი; როგორც თფილისში ისე, მის გარეთ ღირს წელიწადში ისევ 8 მან... 10 შ. ერთი თვით 15 შაურათ.

გაზეთის ფასი თფილისში და მის გარეთ წლ. 8 მ. 10 შ. 11 თ. 8 მან., 10 თ, 7 მ., 10 ... თ. 6 მან. 5. შ., 8 თ. 6. მან., 7 თ. 5 შ., 5 თ. 3 მ. 5 შ, 4 თ. 3 მ. 3 თ. 2 მ. 5 ... 2 თ. 1 მ. 10 შ. 1 თ. 15 შ. საზღვარგარეთ: წლ. 11 მ. 10 შ. 11 თ. 10 მ. 15 შ., 10 თ. ... მ., 9 თ. 9 მ., 8 თ. 8 მ., 7 მ., 6 თ. 6 მ., 5 თ. 5., მ. 4 თ. 4 მ., 3 თ. 3 მ., 2 თ. 2 ... 1 თ. 1 მ., ცალკე ნუმერი ყველგან შაურათ; დამატებიანი ნუმერი შვიდი კაპ. ადრესის გა... ვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარეთ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 2 კაპ. ... ჩვენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან. მხოლოდ სრული თვეებით. **ხელისმოწერა გამართულია.** 1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, ... ჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა, დილის 9 ს. საღ. 8 ს-დი უქმეებში ... 11 ს-დან 3 ს. 2) ქ. შორის წერა კითხ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღა... სასახლის ქ., თავად-აზნაურთა ქარვასლა. ფოშტით: Тифлисъ, Груз. газ. „Сахалхо га... поч. ящ. 190.

ოქროს ვერძი

გამოდის 19 მაისიდან

ქუთაისი კაზაკოვის შესახვევი.

რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის.		ქუთაისს მოდის.	
თფილისს:	სახალხო 5 ს. 10წ. დ.; სახ. 10ს. 6წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.	**თფილისიდან:**	სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. ... საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. ... სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.
ბათომს:	სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5წ. საღ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.	**ბათომიდგან:**	ფოშტ. 1ს. 20 წ. დღ.; სახ. ... 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; ... 7 საათ. დილ.
ფოთს:	საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ.	**ფოთიდან:**	საავ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. ... 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ...
შორაპანს:	საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ.	**შორაპნიდან:**	საავ. 9 ს. 31 წ. დღ. ...
ტყიბულს:	სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 3 ს. 45 წ. დღ.	**ტყიბულიდან:**	სახ. 5 ს. 11 წ. დღ.; სახ. ... საათ. 9 წ. დილ.

სტამბა „ძმობა“ კაზაკოვის ქუჩა სახლი № 17.